

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი  
რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ქ. თელავი

2018 წლის 12 იანვარი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ლაღანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაბრაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ვასილ არაბული, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალთაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი მალხაზ ბაღუაშვილი, ამავე სამსახურის სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის განყოფილების უფროსი დავით ქსოვრელიშვილი, ამავე სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი ვახტანგ გაგნიძე, სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე.

**დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1. მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) დოკუმენტების ტიპიური ფორმებისა და მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. დ. ლაღანიძე

მოისმინეს: მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) დოკუმენტების ტიპური ფორმებისა და მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა კომისიას გააცნო მშენებლობის სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის პროექტი, აგრეთვე მშენებლობის სანებართვო მოწმობის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალის, დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი მშენებლობის სანებართვო მოწმობის ჩამოწერის აქტის დასამტკიცებელი ფორმები.

გადაწყვიტეს: მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) დოკუმენტების ტიპური ფორმებისა და მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის პროექტი წარედგინოს საკრებულოს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე



დავით დალანიძე